შეთანხმება N1

2017 წლის 30 მარტს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
N54 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისი

29 აგვისტო 2017 წელი

ერთის მხრივ სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი ბიუროს უფროსის ეკატერინე ქარდავას სახით და მეორეს მხრივ შპს "სი-ტი-პარკ" (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი მისი გენერალური მენეჯერის ბინიამინ ლაჰავის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შეთანხმების საგანი

1.1სსიპ-საჯარო სამსახურის ბიუროსა და შპს "სი-ტი-პარკ" შორის 2017 წლის 30 მარტს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N54 ხელშეკრულების საფუძველზე, განხორციელდა ბიუროს ბალანსზე რიცხული WOLKSWAGEN TOUAREG, სახელმწიფო ნომრით DND 645 ავტომანქანის პარკირების სისტემაში გააქტიურება 2018 წლის 30 მარტის ჩათვლით და სსიპ-საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ 2017 წლის 05 აპრილს პარკირების ღირებულების სრულად გადახდა 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

1.2 იმის გათვალისწინებით, რომ სსიპ-საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ განხორციელდა ახალი ავტომანქანის შესყიდვა (FORD FOCUS, სახელმწიფო ნომრით SS014DD) და დაგეგმილია ბიუროს ბალანსზე რიცხული ავტომანქანის (WOLKSWAGEN TOUAREG, სახელმწიფო ნომრით DND 645) სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო"-სთვის გადაცემა, ასევე ბიუროს მიერ სრულად ანაზღაურებულია პარკირების ღირებულება, სსიპ-საჯარო სამსახურის ბიუროსა და შპს "სი-ტი-პარკ" შორის 2017 წლის 30 მარტს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N54 ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულების დამდები მხარეები - შემსყიდველი და მიმწოდებელი-ვთანხმდებით:

1.2.1 WOLKSWAGEN TOUAREG, სახელმწიფო ნომრით DND 645 ავტომანქანაზე გააქტიურებული პარკირების სისტემა (ნებართვა) გადატანილ იქნეს და გააქტიურდეს ავტომანქანაზე FORD FOCUS, სახელმწიფო ნომრით SS014DD, N54 ხელშეკრულებით გათვალისწინებული, დარჩენილი პარკირების ნებართვის ვადით - 2018 წლის 30 მარტის ჩათვლით.

1.2.2 შესაბამისად, სსიპ-საჯარო სამსახურის ბიუროსა და შპს "სი-ტი-პარკ" შორის 2017 წლის 30 მარტს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N54 ხელშეკრულების 2.2 პუნქტში შეტანილ იქნეს ცვლილება და 2.2 პუნქტით გათვალისწინებული WOLKSWAGEN TOUAREG, სახელმწიფო ნომრით DND 645 ავტომანქანის ნაცვლად განისაზღვროს ავტომანქანა FORD FOCUS, სახელმწიფო ნომრით SS014DD.

2. შეთანხმების მოქმედების ვადა

2.1 წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის 30 მარტის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N54 ხელშეკრულების მოქმედების ვადით.

2.2 შეთანხმება წარმოადგენს მხარეთა შორის 2017 წლის 30 მარტს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N54 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მის სხვა პირობებთან ერთად. ხელშეკრულების ყველა სხვა მუხლი და პირობა რჩება უცვლელი.

2.3შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან).

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ-საჯარო სამსახურის ბიურო	შპს "სი-ტი-პარკ"
ს/კ 205047288	ს/კ 204543770
---	---
ეკატერინე ქარდავა	ბინიამინ ლაჰავი
ბიუროს უფროსი	გენერალური მენეჯერი